# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 101. კვირა, 16 მარტი 1903 წ. გაზეთის № 2098.




† გრიგოლ აბაშიძე.

* * *

სიკვდილის ხელი,
დაუნდობელი,
კიდევ შეეხო ჩემს თანამოძმეს;
გლოვისა ზარი,
გულის შემზარი,
კიდევ მოესმა სამშობლო მხარეს:
მოკვდაო გრიშა!
გულმა ივიშა,
რა გაიგონა სიკვდილი მგოსნის,
თუმცა გონებამ
და დაკვირვებამ
ადრევ დაჰკარგა რწმენა იმის ხსნის...
ჰოეტს სიკვდილი,
ვით აჩრდილი,
დიდი ხანია დასდევდა თანა—
ბედმა უმტყუნა,
ტანჯვა არგუნა,
ბოლოს სულ თანაც გადაიტანა.
მოკვდა სხვის ხელში,
სხვის სარეცელში,
ცოცხლივ განშორდა თავისს სამყოფელს;
მოკვიკვდა შვილი,
ვით ვინმე მწირი,
„მშვიდობითაო“!—ვერ უთხრა მშობელს ..
განდეგილი.

11 მარტი, 1903 წ.

# მ ა მ ა

ბიერსტერნე - ბიერსენისა.

თორდი ევერასი, რომელზედაც საუბარი გვექმნება, შეძლებული ოჯახის შვილი იყო.

ერთხელ იგი, მედიდურისა და დარბაისლურის გამომეტყველებით, მღვდლის ოთახში იდგა.

— მე დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ ვაჟი მეყოლა— სთქვა იმან—მინდა ის მოვნათლო...

— სახელი?

— ფინნი, მამიჩემის მოსახელე იქმნება.

— მიმრქმელებად ვინ გეყოლებიან?

თორდმა დაასახელა შეძლებული გლეხები და მანდილოსნები მთელს იმ არემარეში, ნათესავნი თორდის მხრივ.

— სხვა ხომ აღარა გინდა-რა?—ჰკითხა მღვდელმა.

მდიდარი ცოტა ხანს შეყოყმდა. შემდეგ სთქვა:

— მე მსურს მოვნათლო ბალღი ისეთს დღეს, რომ სხვას არავისა ჰყავდეს მოსანათლი.

— მაშასადამე, საქმე დღეს, როდესაც სხვებს არ ელლებათ?

— დიახ მომავალს შაბათს, შუადღისას...

— გინდა რამ კიდევ?

— მეტი აღარაფერი...—თორდი წასასვლელად მოემზადა და ქუდს ხელში ტრიალი დაუწყო. მოძღვარი მივიდა იმასთან, ხელი მოჰკიდა და დალოცა: „ღმერთსა ვსთხოვ, რომ შვილმა მოგცეს კურთხევა უფლისა!“

**

თექვსმეტის წლის შემდეგ თორდი კიდევ მივიდა მღვდელთან.

— როგორ ყოჩაღად შენახულხარ, თორდო!—უთხრა მოძღვარმა თორდს.

— რა მიშავს!—უპასუხა იმან.

სიჩუმის შემდეგ მღვდელმა ჰკითხა:

— რისთვის გარჯილხარ?

— დღეს მოვედი თქვენს მოწყალებასთან ჩემის ბიჭის გამო: ხვალ იმისი კონფირმაციაა...

— ძალიან ყოჩაღი ბიჭი კი გყავს, თორდო!—უთხრა მღვდელმა.

— არა უშავს რა; ფულის შემოტანამდე მინდა გავიგო, მაზიარებელთა სიაში რომელ ნომრის ქვეშ იქმნება შეტანილი...

— პირველი ის იქმნება!

— ძალიან სასიამოვნოა! აი, მაშ, მოძღვარო ეკკლესიის სასარგებლოდ ინებეთ ერთი თუმანი..

— გმადლობ! სხვა ხომ აღარაფერი გაქვს სათქმელი?— ჰკითხა მღვდელმა.

— მეტი არაფერი!..

თორდი წავიდა.

**

განვლო რვა წელმა. ერთხელ მღვდლის სახლის დერეფანში რაღაც ხმაურობა გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ, თორდის წინამძღოლობით, შევიდა მღვდელთან რამდენიმე კაცი. მღვდელმა აიხედა და თორდი იცნო.

— შენ, ჩემო თორდო, მრთელი ამალა გახლავს თან!

— ჩემი ბიჭი ირთავს კარენ სტორლიდენს, გუდმუნდის ქალს. გთხოვთ, შეეკითხოთ ამ ხალხს და დარწმუნდეთ, რომ

იმათ შორის არავითარი ნათესაობა არ არის. გუდმუნდიც აქვე გახლავთ...

— რა ვიცი, მეც აგრე მარწმუნებენ!—მიუგო გლეხმა თავ მომწონედ და წვერების სწორებით.

მღვდელი მცირე ხანს ჩაფიქრებული იჯდა; იმას არაფერი უთქვამს, მხოლოდ სიაში შეიტანა ჯვარ დასაწერთა სახელები კაცებმაც ხელი მოაწერეს. თორდმა სტოლზე სამი მანეთი დასდო.

— მხოლოდ ერთი მერგება! – უთხრა მოძღვარმა.

— მეც ვიცი, მაგრამ მე სხვა ვარ და სხვა სხვაა... ამას გარდა, რადგან იმის მეტი შვილი არა მყავს, მინდა ყველა კმაყოფილი იყოს...

მღვდელმა ფული აიღო, მადლობა გამოუცხადა.

— ეგ ჯერ მესამედ მოხვედი; თორდო, შენის შვილის გამო!—უთხრა ბოლოს მღვდელმა.

— სამაგიეროდ უკანასკნელადაც! მიუგო გლეხმა და ქისა დაჰკეცა. შემდეგ გამოემშვიდობა და წავიდა თან მოყოლილ ამალით.

**

ორის კვირის შემდეგ, დამშვიდებულს და მყუდრო დღეს, მამა-შვილი ნავით სტორლიდენებთან წავიდნენ ჯვარის წერის დღის დანიშვნის შესახებ მოსალაპარაკებლად.

— მოსასმელ ნიჩბის ქახრაკი, მგონი, მოშლილა!—სთქვა შვილმა და წავიდა იმის გასასწორებლად.

იმავ წამს ფიცარი, რომელზედაც შესდგა, ფეხიდან გაუსხლტა. ერთი კი შეიქნია უმწეოდ ხელები და ყვირილით ტბაში ჩავარდა.

— მოჰკიდე ნიჩაბს ხელი!—დაუყვირა მამამ, სწრაფად ფეხზე წამოვარდა და ნიჩაბი გაუწოდა; მაგრამ შვილმა, ორჯერ-სამჯერ ამაო ცდის შემდეგ, თითქო მოსაზრება დაჰკარგაო, ვაბეცდა.—მოიცა, გამაგრდი!—დაუძახა თორდმა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნავი შვილისკენ გააქანა, მაგრამ ის გადაესვენა გულაღმა, მამას უკანასკნელად თვალები ჩააშტერა და ჩაიკარგა წყალში.

თორდს ნანახი არა სჯეროდა; ნიჩაბს ხელი გაუშვა და ჩააშტერდა იმ ალაგს, სადაც იმისი შვილი ჩასძირა, თითქო ამოყურყუმელავებას ელისო. მაგრამ წყალი იშვიათად თუ ანთავისუფლებს სიკვდილის ბრჭყალებისაგან მსხვერპლს! წყლის პირზე გამოჩნდა რამდენიმე ბუშტი. ამოვარდა ერთი დიდი, რომელიც გასკდა, ააციმციმა მცირე ხანს ტბის პირი და გაიშალა რკალებივით. მალე ისევ დაწყნარდა და სარკესავით გასპეტაკდა ტბა.

სამი დღე და ღამე ჰხედავდნენ უბედურს მამას ნავით იმ ადგილას, სადაც იმისი შვილი წუთისოფელს გამოესალმა. იგი არც საჭმელზე ჰფიქრობდა, არც ძილზე: ეძებდა მოუსვენრად დამხჩვალის შვილის გვამს, მესამე დღეს იპოვნე და თავისის ხელით მიიტანა სახლში.

**

იმ უბედურის დღის შემდეგ განვლო წელიწადმა. ერთხელ, როდესაც მოღალული სოფელი ძილს მოეცვა, მღვდელს შემოესმა, თითქო ვიღაც კარების ხელს ფრთხილად ანძრევს. კარი გააღო. ოთახში შევიდა მაღალი, მაგრამ წელში ძალზედ მოხრილი კაცი, ყბებ-ჩაცვივნული და მთლად გათეთრებულ მღვდელმა კარგა ხანს უცქირა, ვიდრე იცნობდა.

— ასე გვიან რამ მოგიყვანა? —ჰკითხა მღვდელმა.

— დიახ, გვიან მოვედი! — თითქმის უაზროდ უპასუხა გლეხმა.

ჩამოჯდა. დაჯდა მღვდელიც და დაუწყო ცდა, რას ეტყვის უდროვო სტუმარიო. სიჩუმემ დიდხანს გასტანა. შემდეგ თორდმა წაილაპარაკა ჩუმად:

— მე მოვიტანე ცოტაოდენი ფული ღარიბთათვის თავშესაფარის დასაარსებლად და უმწეოთათვის დასახმარებლად...

მღვდელმა ფული დასთვალა.

— აქ, თორდ, ბევრია!—უთხრა იმან.

— ეგ არის ნახევარი ფასი ჩემის სახლკარისა, რომელიც დღეს გავყიდე...

მოძღვარი დიდხანს გაჩუმებული იჯდა, შემდეგ ალერსით ჰკითხა:

— რას აპირებ ახლა თორდ?

— რაიმეს ძველებურ მედიდურს ცხოვრებაზე უფრო მნიშვნელოვანს!..

ბოლოს მღვდელმა უთხრა ჩუმად:

— მე მგონია, ჩემო საბრალო თორდ, ახლა კი მოგიტანა განსვენებულმა შვილმა კურთხევა უფლისა!

— დიახ, მეც აგრე ვფიქრობ! — მიუგო იმან ამოოხვრით, ცოტაოდენის სიჩუმის შემდეგ აიღო უბედურმა მამამ თავი და შეჰხედა მღვდელს. ორი ობოლი სიმწარის ცრემლი თვალზე მოადგა და შემდეგ იმისს ათრთოლებულს, დაღარულს ლოყებზე ჩამოგორდა...

ანტონ თოიძე.



**ჩრდილში** —სურათი გერალდისა.

## ინდოელთა ლეგენდა

მუანოსი

ცისა და ქვეყნის შექმნის შემდეგ ყოვლად შემძლებელი მეგადევა ჩამოვიდა დედა-მიწაზე, რათა დამტკბარიყო თავისავე ქმნილების ცქერით. იმისმა მოძრაობამ აღსძრა თბილი ნიავი. ხეებმა დაჰხარეს თავი. აღყვავდნენ თეთრი ზამბახნი. მეგადევამ მოსწყვიტა თეთრი ზამბახი და გადააგდო ზღვაში. ქარმა შეაშფოთა ზღვა და თეთრი ზამბახი დაიფარა ქაფით. თვალის დახამ-

ხამებაზე ქაფით დაფარულ ზამბახიდან აღმოსცენდა ქალი— ზამბახისებრ ნაზი, ქარისაებრ სუმბუქი, ცვალებადი, ვითარცა ზღვა, ჩქარა წარმავალი, ვითარცა ქაფი.

ქალმა უწინარეს ყოვლისა ჩაიხედა წყალში და წარმოსთქვა:

— რა მშვენიერი რამა ვარ!

შემდეგ მიიხედ-მოიხედა და დასძინა:

— რა მშვენიერია ქვეყნიერება!

ქალი სრულიად მშრალი გამოვიდა წყლიდან ნაპირზე (მას აქეთ ქალები სრულიად მშრალნი გამოდიან წყლიდან). ქალის დანახვაზე აჰყვავდნენ ყვავილნი, ციდან ათასი განცვიფრებული თვალი მიაჩერდა იმას. ისინი ალტაცებისაგან აენთნენ,—მას აქეთ ანათებენ ვარსკვლავნი. ვენერა შურისაგან ყველაზე ძრიელ აენთო—ამისათვის იგი სხვა ვარსკვლავებზე ძრიელ ანათებს.

ქალი დასეირნობდა მშვენიერ მიდამოზე; იმის დანახვაზე ყველა უსიტყოდ ალტაცებაში მოდიოდა. რამდენისამე საათის შემდეგ ქალმა მოწყენით შესძახა:

— მეგადევა! შენ მე უმშვენიერესი შემქმენ. მხილველნი ალტაცებაში მოდიან, მაგრამ ჩემს ყურს კი არაფერი არ ესმის.

გაიგონა თუ არა ეს, მეგადევამ შექმნა ურიცხვი ფრინველი, რომელთაც დაიწყეს ქალის მშვენიერებაზე გალობა. ქალი ისმენდა და სიამოვნებისაგან იღიმებოდა. ერთის დღის შემდეგ ესეც მოჰბეზრდა ქალს.

— მეგადევა!—შესძახა იმან:—მე მიგალობენ აღმაფრთოვანებელს ლექსებს ჩემს სიმშვენიერეზე. აბა, რას ვაქნევ ჩემს მშვენიერებას, თუ კი არავის არ უნდა ჩემი მოხვევნა და ტკბილად გულში ჩაკონება!

მეგადევამ შეჰქმნა მოქნილი გველი, რომელიც ეხვეოდა ქალს და იმის ფეხ-ქვეშ სცურავდა. შუადღემდის ქალი კმაყოფილი იყო, მერე კი დაღონებულმა შესძახა:

— მართლა რომ ძლიერ ლამაზი ვიყო, ეჭვს გარეშეა, სხვანიც ეცდებოდნენ მოებაძათ ჩემთვის. მაშასადამე, ისეთი ლამაზი არა ვყოფილვარ!

იმის დასაკმაყოფილებლად მეგადევამ შეჰქმნა მაიმუნი. მაიმუნი ჰბაძავდა ყოველ მიმოხვრას ქალისას ექვსი საათის განმავლობაში გართული იყო იგი, შემდეგ კი თვალ-ცრემლიანმა სთქვა:

— მე იმდენად მშვენიერი ვარ, რომ მიგალობენ, მეხვევიან, ჩემ ფეხთქვეშ ჰბობლავენ და მბაძავენ. მოვსწონვარ და ჰშურთ კიდეც; ასე რომ გულში შიში შემეპარა. მფარველი და მქომაგებელი კი არსად არა მყავს იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმემ განიზრახა ჩემი შეურაცხყოფა!

მეგადევამ გააჩინა ღონიერი და მძლავრი ლომი ქალის მფარველად. ამ ცხოველის დანახვამ იგი სამი საათის განმავლობაში გაართო, მაგრამ შემდეგ მოსწყინდა:

— ჩემს მშვენიერებას სხვები ეალერსებიან, მე კი არავინ არა მყავს საალერსო! არ შემიძლიან ეს უშველებელი და საშიშარი ლომი შევიყვარო; იმის მიმართ მხოლოდ შიშსა და კრძალვასა ვგრძნობ!

ერთ წუთში ქალის წინ გაჩნდა ძაღლი.

— რა საყვარელი რამ არის!—სთქვა ქალმა და დაუწყო ალერსი.—რა ძრიელ შემიყვარდა ეს ძაღლი!

ეხლა ქალს ყველაფერი ჰქონდა, აღარაფრის თხოვნა აღარ შეიძლებოდა. ამ გარემოებამ გააბრაზა იგი... ჯავრის ამოსაყრელად დაჰკრა ძაღლს. ძაღლმა შეჰყეფა და გაიქცა, დაჰკრა ლომს—ლომმა დაიღრიალა და გაიქცა; დაადგა ფეხი გველს— ისიც გაცურდა და წავიდა. შეუტია თუ არა მაიმუნსა და ფრინველებს—ისინიც გაიქცნენ.

— ოჰ, რა უბედური ვარ!—შესძახა ქალმა:—როდესაც კარგ გუნებაზე ვარ, ყველანი მიალერსებენ, მაქებენ, ხოლო როდესაც ცუდ გუნებაზე ვარ—ყველანი თავს მანებებენ! მე მარტოდ-მარტო ვრჩები! ყოვლად ძრიელო მეგადევავ! უკანასკნელად გემუდარები: შეჰქმენ ისეთი არსება რომელმაც ვერ გაბედოს ჩემი თავის დანებება, რაც უნდა ჯავრი ამოვიყარო, რომელმაც უდრტვინველად აიტანოს ცემა-ტყეპა!

მეგადევა დაფიქრდა და გაუჩინა ქალს... ქმარი.

ლ. ნასიძისა.



თევზის გამყიდავი.—სურათი ჰელდჰოლანდისა.

## თანამედროვე ტეხნიკა

### მოხერხებული პირ-საბანი.

ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ბ-ნ კიკნაველიძეს გამოუგონია ძლიერ მოხერხებული პირ-საბანი, ამასთან იაფი და, მაშასადამე, ყველასათვის ხელ-მისაწდომი (თითო 3 მანეთად ეღირება). პრივილეგია აუღია, მაგრამ გაკეთების ნება ორ პირისათვის გადაუცია. ამ უკანასკნელთაც მოსკოვში შეუკვეთნიათ ხსენებულ პირ-საბანების დამზადება.

### მოძრავი გამოფენა.

წრეულს შემოდგომაზედ იაპონელები აპირებენ რუსეთში გამართონ მოძრავი გამოფენა შინა-მრეწველთა ნაწარმოებისა; გამოფენა მოივლის რუსეთის დიდრონ ქალაქებს და შესაძლოა ტფილისსაც ეწვიოს.

### ახალი წყლისაყვანი:

თავ. ნიკოლოზ იაკობის-ძეს ერისთავს გამოუგონია მეტად ორიგინალური წყლისაყვანი (НАСОСЪ). ეს წყლისაყვანი თურმე მეტად მარტივია, მაგრამ ისე კარგად კია მოწყობილი, რომ შედარებით სიმარტივესთან სამოქმედო ძალა დიდი აქვს.

თავად ერისთავს ხსენებული წყლისაყვანი მოუწყვია გაგრაში, პრინც ოლდენბურგის მამულში, ისე რომ პატარა მდინარიდან 250

საჟენის სიმაღლეზედ მთა-გორიან ადგილას წყალი აჰყავს. მოწყობილება, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ძრიელ მარტივია: გრძელი მილია მთა-გორაზედ გატარებული, რომლის ერთი წვერი ჩაშვებულია მდინარეში, ეს წვერი ისეა მოწყობილი, რომ ადის და ჩადის წყალში მდინარეზედ გამართულ ბორბალ-ჩარხის შემწეობით და ამ ჩასვლა-ამოსვლით მმოძრავი წვერი მილისა მდინარიდან წყალს ისრუტავს და მიერეკება ზევით.

ეს გამოგონება სწორედ მისწრებათ უნდა ჩაითვალოს ისეთ ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი მხარეა, მთა გორიანი. ამასთან აქაურ მდინარეთა უმეტესობა ღრმა კალაპოტში მიმდინარეობს, ამიტომ სარგებლობა ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც. ახლა ეს წყლისაყვანი დიდ სამსახურს გასწევს.

## მწერთა ხაფანგი

იქ, სადაც კოდო, ჰეჰელა და სხვა და სხვა მავნე ფრთოსანი მწერი ბევრია, რასაკვირველია, ზაფხულობით, და ხალხს აწუხებს, იმათთან საბრძოლველად და გასამუსრავად აი რა ხერხი გამოუგონიათ საფრანგეთის მებაღეებს. ბაღებ-ბოსტნებში ან საცხოვრებელ სადგურების მახლობლად სდგამენ დახვრეტილ კათხებს; ამ კათხებს გარშემო შაქარ-თაფლ ნარევ წებოს აგლესავენ და კათხის შუაში სანათს უკიდებენ. ბნელაში ნახვრეტებიდან, რასაკვირველია, შუქი გამოჭკრთის და ამ შუქს ყოველის მხრიდან ეტანებიან მწერები, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, მიეხლებიან თუ არა კათხას, ზედ ეკვრიან და იხოცებიან. დილაობით ეს კათხა რომ ნახოთ, მწერთა სრული კოლექციაა ზედ: რა მწერი გინდათ, რა ჯურისა და ფერისა, რომ ზედ არ იყოს მიკრულ-მიჯაჭვული. კათხის მაგიერ ზოგან ქუთებსაც ხმარობენ ან გოდორს. უკანასკნელი უფრო მოხერხებულად მიგვაჩნია, თუ ჩვენშიც ისარგებლებენ ამ საშუალებით.

გ. თოიძე.

### უწყლოობა მთაწმინდაში.





— ერთი სტაქანი წყალი დამითმეთ.

— ვერა, ვერ დაგითმობთ, მანეთიც რომ მომცეთ.



მშვიდობით, მთაწმინდის ფუნიკულერო!

### ტფილისის საგჯო.



ჯერ ამის მეტი არა გაკეთებულარა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.

1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

შოთა რუსთაველისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„მოამბე“

წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.

„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით

„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება